სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

განვითარების სამსახური

2012 წლის ანგარიში

www.apa.gov.ge

<u>დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება</u>

- 2012 წელს აჯამეთის აღკვეთილში იშვიათი ეკოსისტემების გამოვლინების საფუძველზე ჩატარდა შესაბამისი ცვლილებები აღკვეთილის ტერიტორიის ზონირებაში, რაც აისახა დროებითი რეგულირების წესებში.
- თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის გაფართოებასთან ერთად განხორციელდა ეროვნული პარკის შიდა ფუნქციონალური ზონების საზღვრების კორექტირება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა თბილისის ეროვნული პარკის დროებით რეგულირების წესებში;
- 2012 წელს ხელახლა განხორციელდა გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიის შიდა ზონირება;
- დამტკიცდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა;
- დამტკიცდა თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა;
- მომზადდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა;

- მომზადდა ზოგადი სახემძღვანელო დოკუმენტი (წესი) დაცულ ტერიტორიებზე იშვიათი ეკოსისტემების გამოსავლენად;
- მომზადდა დაცული ტერიტორიების პატრულირების სქემები შესაბამისი მარშრუტებითა და გრაფიკებით;
- გამოვლინდა ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილები, მოხდა მათი განსაზღვრა, იდენტიფიცირება და რუკებზე დატანა;
- ნოვაციის სახით ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე დაინერგა 24 საათიანი დაცვის ახალი ელექტრონულ - სანავიგაციო პატრულირების სისტემა;
- ვიზიტორთა ცნობიერების ამაღლებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით მომზადდა "Touch Screen", რომელზედაც განთავსდა ინფორმაცია იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შესახებ;
- მომზადდა „ქობულეთის დაცული ტერიტორიების გაფართოების პერსპექტივების შემსწავლელი კომისიის დასკვნა";
- 2012 წელს (იანვარ-თებერვალი) მომზადდა საჭირო ინფორმაციები დაცული ტერიტორიებისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად გამოცხადების შესახებ, მომზადებული დოკუმენტაცია განხილულ იქნა IUCN -ის წარმომადგენლებთან ერთად. სააგენტოს წარმომადგენები ესწრებოდნენ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისიის WWF-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას, სადაც შეირჩა დაცული ტერიტორიებიდან პოტენციური მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის რამდენიმე საიტი: კოლხეთის დაცული ტერიტორიები (2 საიტად იქნა დაყოფილი), თუშეთის დაცული ტერიორიები, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და სხვა. თუმცა შეხვედრის შემდგომ ეს სია განიცდიდა მოდიფიკაციას და საბოლოო სია არის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობაში - WWF.
- ვიზიტორთა უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფისა და არსებული საშუალებების გაუმჯობესების მიზნით მომზადდა დამატებითი მაფრთხილებელი ნიშნები შემდეგი დაცული ტერიტორიებისათვის: იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები;

ეკო-განათლება დაცულ ტერიტორიებზე

2012 წლის განმავლობაში საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრები, ლექცია-სემინარები, ტრენინგები, კონფერენციები, ეკო-გაკვეთილები ველზე, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკო-ტურები, ეკო-ბანაკები და სხვა სახის გარემოსდაცვითი აქტივობები;

- 2012 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 88398-მა ადამიანმა, მათ შორისა სკოლის მოსწავლეები (32258), სტუდენტები (6977), პედაგოგები (3080). ადგილობრივი მოსახლეობა;

- დაცული ტერიტორიების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და მათი ჩართვის მიზნით გარემოსდაცვით აქტივობებში, პრობლემების გამოვლენისა და სამომავლო ქმედებების დაგეგმვისთვის მოეწყო შეხვედრები დაცული ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობასთან, სულ 300-მდე შეხვედრა;



დიაგრამა 1. 2012 წლის ეკო-საგანმანათლებლო აქტივობების ნუსხა

2012 წელს მოსახლეობის ეკო-საგანმანათლებლო დონის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

- შემუშავდა ეკო-საგანმანანათლებლო სტრატეგია და მოქმედების გეგმა 2012-2015 წლებისთვის;
- შემუშავდა სპეციალური ეკო-საგანმანათლებლო პროგრამები, ე.წ. „ნორჩი რეინჯერის პროგრამა" დაცული ტერიტორიების მიხედვით: ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთის, მტირალას ეროვნული პარკების, კინტრიშის, ვაშლოვანის, ქობულეთის, თუშეთის, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისთვის.
- დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა სპეციალურად მომზადებული საზოგადოებრივი აღქმისა და გავლენის მონიტორინგისა და შეფასების კითხვარის საშუალებით.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 17 დაცული ტერიტორიის ტერიტორიული ადმინისტრაციის - ალგეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, თბილისის, კოლხეთის, მტირალას, ყაზბეგის ეროვნული პარკების, ასევე ბაწარა-ბაბანეურის, ვაშლოვანის, თუშეთის, კინტრიშის, ლაგოდეხის, იმერეთის მღვიმეების, ქობულეთის დაცული ტერიტორიების, აჯამეთის, გარდაბნის, ჭაჭუნის აღკვეთილების და მარიამჯვრის სახ. ნაკრძალის მიმდებარე

მოსახლეობამ. სულ 1700 რესპოდენტი. შევსებული კითხვარები მოწოდებული იქნა სააგენტოში.

ზოგიერთ კითხვაზე რესპოდენტთა პასუხები ასე გადანაწილდა:

- **გსმენიათ თუ არა დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესახებ?**



გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობას სმენია დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესახებ.

- **რა იმედები (მოლოდინი) გაქვთ დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში?**



2012 წელს გამოკითხულ რერსპოდენტთა უმრავლესობას (31%) იმედი აქვს, რომ დაცული ტერიტორიების არსებობა ხელს შეუწყობს გარემოს უკეთ დაცვას.

- **რა პრობლემებს გიქმნით დაცული ტერიტორიების არსებობა?**



რესპოდენტების აზრით პრობლემებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა: 2010 წელს - საფრთხე გარეული ცხოველების მხრიდან (29%), 2011 წელს – საძოვრების გამოყენების შეზღუდვა (28%), 2012 წელს – ტყის ჭრის შეზღუდვა (26%).

- **ეთანხმებით თუ არა შემდეგ გამონათქვამებს: ჩვენს რეგიონში დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მიკროპროექტების განხორციელების შედეგად:**



გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დაცული ტერიტორიების არსებობამ ხელი შეუწყო ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობების შექმნას (25%) და დადებითი წვლილი შეიტანა რეგიონის განვითარებაში (21%).

<u>საგანმანათლებლო დაწესებულებთან თანამშრომლობა</u>

- სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისათვის მომზადდა მიზნობრივი პრეზენტაციები გარემოსდაცვითი თემატიკით;
- 2012 წელს ჩატარდა ლექცია/სემინარები სკოლის მოსწავლეებისთვის გარემოსდაცვის თემატიკით, დაცული ტერიტორიების და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ;
- 2012 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და დაცული ტერიტორიების ტერიტორიული ადმინისტრაციების წარმომადგენლების მიერ ჩატარდა 620-მდე სემინარი სასწავლო დაწესებულებაში (სკოლები, უნივერსიტეტები) დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლები, უნივერსიტეტები) ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება გარემოსდაცვითი და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით;
- გარემოსდაცვითი ღონისძიებები და პრეზენტაციები ჩატარდა 498 სკოლაში (ქ. თბილისის 160 და რეგიონის 338 საჯარო და კერძო სკოლები);

სურ. პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან

- 2012 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ეკო-კლუბის წრის პედაგოგებთან და აღსაზრდელებთან, ჩატარდა სემინარები, გამწვანების აქციები, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ მოეწყო ეკო-ტური ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე;

სურ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ეზოს გამწვანების აქცია

- 2012 წელს სეზონურად მიმდინარეობდა ეკო-გაკვეთილების ჩატარება დაცულ ტერიტორიებზე. ღია გაკვეთილების ჩატარების ორგანიზებაში ველზე მონაწილეობდა დაცული ტერიტორიების სააგენტო და ტერიტორიული ადმინისტრაციები;

- დაცული ტერიტორიების სააგენტომ თემების მომზადებისთვის ინფორმაციული მასალით უზრუნველყო სტუდენტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტურ

ოლიმპიადაში; ასევე მონაწილეობა მიიღო სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების მომზადებაში;

- მასწავლებლის სახლში მოეწყო შეხვედრა ქ. თბილისის სკოლის პედაგოგებთან. მათ ჩაუტარდათ ტრენინგი დაცული ტერიტორიების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა 44 სკოლის 88 პედაგოგი. მათ მიეწოდათ უახლესი ინფორმაცია დაცული ტერიტორიების შესახებ, ასევე ეკო-საგანმანათლებლო და ეკო-ტურისტული პოტენციალის შესახებ, დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა;

ეკო-კვირეულები უნივერსიტეტებში

- 2012 წელს უნივერსიტეტებში ჩატარდა კვირეული გარემოსდაცვითი თემატიკით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გაკეთდა პრეზენტაციები დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და ეკოტურისტული პოტენციალის შესახებ;

სურ. ეკო-კვირეული უნივერსიტეტებში

ეკოტურები დაცულ ტერიტორიებზე

- მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის დაცულ ტერიტორიებზე ეკო-ტურების ორგანიზებაში ხელშეწყობა;

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინიციატივით საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ასაკობრივი ზღვარის გათვალისწინებით მოსწავლეებისთვის შემუშავდა სხვადასხვა სირთულის (შედარებით მარტივი და საშუალო) ბილიკების მარშუტები, რამაც ხელი შეუწყო სკოლებში ეკო-ტურების ორგანიზებას დაცულ ტერიტორიებზე;

- 2012 წლის მონაცემებით დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო 1972 ეკო-ტური;

<u>კონკურსები, მწვანე აქციები</u>

- 2012 წელს სკოლებში მოსწავლეებისთვის მოეწყო კონკურსები, აქციები, კონფერენციები გარემოსდაცვითი თემატიკით, რომლის ორგანიზებაში ჩართული იყო დაცული ტერიტორიების სააგენტო;

- მოსახლეობის ჩართვის მიზნით გარემოსდაცვით აქტივობებში დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო 141 აქცია, ე. წ. „მწვანე კალენდრის" მიხედვით აღინიშნა სხვადასხვა გარემოსდაცვითი დღე;

- 2012 წელს დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო 70-მდე დალაგება/დასუფთავების აქცია, რომელშიც ჩართულნი იყვნენ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები;

სურ. დასუფთავების აქცია თბილისის ეროვნულ პარკში

- 2012 წელს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით და GIZ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერით განხორციელდა ეკო-საგანმანათლებლო პროექტი: ,,22 მაისის – ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღისა და 5 ივნისის –

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეების აღნიშვნა“. პროექტის ფარგლებში ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის სკოლებში ჩატარდა კონკურსი. კონკურსი ჩატარდა ნომინაციებში - საუკეთესო თემა, საუკეთესო ნახატი, საუკეთესო ფოტო გარემოსდაცვითი თემატიკით. კონკურსის შედეგად სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილი გამარჯვებული მოსწავლეებისთვის და მათი პედაგოგებისთვის (სულ 35 მოსწავლე, 5 პედაგოგი) 2012 წლის 9 ივნისს მოეწყო ეკო-ტური იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე - სათაფლიას აღკვეთილსა და პრომეთეს მღვიმეში.

სურ. ეკო-ტური იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე

<u>ეკო-ბანაკები დაცულ ტერიტორიებზე</u>

- 2012 წელს დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო 19 ეკო-ბანაკი, მათ შორის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში - 10, მტირალას ეროვნულ პარკში - 6, ყაზბეგის ეროვნულ პარკში - 2, თუშეთის ეროვნულ პარკში -1.

ეკო-ბანაკებში ჩართულნი იყვნენ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა.

- 2012 წელს (6-13 აგვისტო) USAID-ის პროგრამის პროექტი INRMW – საქართველო (ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში) მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მოეწყო ეკო-ბანაკი სხვადასხვა რეგიონის ეკო-კლუბების 30 მოსწავლისთვის. პროექტის მიზანი იყო მოზარდების ეკო-საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება, გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;

სურ. ეკო-ბანაკი მტირალას ეროვნულ პარკში

<u>გარემოსდაცვითი პროექტები/ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან</u>

- 2012 წელს დაცული ტერიტორიების სააგენტო ჩართული იყო პროექტის - ,,თბილისი 35+"-ს განხორციელებაში. პროექტის ფარგლებში სტუდენტებს ჩაუტარდა საგანმანათლებლო სემინარი დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით, მიეწოდათ ინფორმაცია დაცულ ტერიტორიებზე ქცევის წესებსა და შესაძლო განსახორციელებელი ქმედებების შესახებ; დაიგეგმა ეკო-ტურები და ეკო-ბანაკები დაცულ ტერიტორიებზე;
- 2012 წლის 28 აგვისტიდან 2 სექტემბრის ჩათვლით დაცული ტერიტორიების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო გარემოსდაცვით კვირეულში; კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სემინარები დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და გარემოსდაცვის თემატიკით, ასევე მოეწყო ეკო-ტურები და ეკო-ბანაკები დაცულ ტერიტორიებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სტუდენტებისთვის. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო სულ 2200-მა სტუდენტმა;
- 2012 წელს (7-9 სექტემბერი) დაცული ტერიტორიბის სააგენტომ მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში - oikos თბილისი, რომელიც ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ქვეყნის 70 მონაწილე სტუდენტი;
- 2012 წელს (2-8 ოქტომბერი) ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოსა და ეიფელის ეროვნული პარკის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სესიაზე ეიფელის ეროვნულ პარკში (გერმანია) დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები ოფიციალური მიწვევით ვიმყოფებოდით ეიფელის ეროვნულ პარკში. პროგრამა ითვალისწინებდა ეიფელის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული სისტემის, ეკო-საგანმანათლებლო პროგრამების, ვიზიტორთა მომსახურების, არსებული ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაცვლას.

სურ. სერთიფიცირებული სკოლა გერმანიაში.

- დაცული ტერიტორიების სააგენტო ჩართულია პროექტის - ,,მდგრადი განვითარება და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობა“ განხორციელებაში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში, რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეების ეკო-საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება და მათი ჩართვა გარემოსდაცვით აქტივობებში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქ. ბორჯომის 6 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბდა 6 ეკო-კლუბი.
- დაცული ტერიტორიების სააგენტო ჩართულია PH-International/USAID პროექტებში. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ბლოგერების კონკურსი, მათ შორის გარემოს დაცვის თემატიკით. კონკურსში ერთ-ერთი ნომინაცია არის ,,ბუმნების დამცველი.

სულ 2012 წლის მონაცემებით დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ გარემოსდაცვით აქტივობებში ჩაერთო 88398 ადამიანი, რაც 2011 წლის მონაცემებთან შედარებით 25%-ით არის გაზრდილი.



დიაგრამა 2. ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა 2005-2012 წწ.

ეკო-განათლება დაცულ ტერიტორიებზე

2012 წლის მონაცემებით ეკო-საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიხედვით ასე გადანაწილდა:



დიაგრამა 3. ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიხედვით, 2012 წ.

ეკო-ტურისტული საქმიანობა

2012 წელს დაცულ ტერიტორიებზე ეკო-ტურიზმის განვითარების, ახალი სერვისების დანერგვისა და დაცული ტერიტორიების პოპულარიცაზიის მიზნით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

ეკოტურისტული სერვისების დანერგვა დაცულ ტერიტორიებზე

- 2012 წლის 4 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით დაცულ ტერიტორიებს სტუმრობდა WTO-ს ექსპერტი მაიკლ მეიერი. დაიგეგმა შერჩეულ 4 დაცულ ტერიტორიაზე (ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, მტირალას ეროვნული პარკი, კოლხეთის ეროვნული პარკი) 8 ეკოტურისტული პროდუქტის განვითარება, რომელშიც ჩართულია 5 პარტნიორი ორგანიზაცია: WTO, GTA, APA, GNTA და NACRES. შეფასდა დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალი და განიხილა განსახორციელებელი აქტივობები;

- 2012 წლის წლის ნოემბერში WTO-ს ექსპერტის მორიგი ვიზიტის დროს, პარტნიორებთან შეხვედრაზე დაისახა კონკრეტული სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა თითოეული ჩართული პარტნიორი ორგანიზაციის კომპეტენცია და პასუხისმგებლობები. ამჟამად დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და NACRES-ის მიერ ერთობლივად მიმდინარეობს Zip Line-თვის შესაფერისი ტერიტორული ერთეულის შერჩევა, პოტენციურ დაცულ ტერიტორიებად მოიაზრება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი;

- დაცული ტერიტორიების სააგენტო ჩერთო განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების მიერ განხორციელებულ პროექტში - ”Student Card”. მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის შემუშავდა ფასდაკლების პაკეტები დაცულ ტერიტორიებზე არსებულ ეკოტურისტულ სერვისებზე.

- 2012 წელს შემუშავდა ვიზიტორთა აღრიცხვის ყოველკვირეული ფორმა, რომლის მიხედვითაც ვიზიტორთა რაოდენობისა და შემოსავლების აღრიცხვა წარმოებს ყოველდღიურად და კვირაში ერთხელ იგზავნება დაცული ტერიტორიების სააგენტოში;

- იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე მომსახურების გაუმჯობესებისა და გამრავალფეროვნების მიზნით დაემატა ”VIP Service”, რომელიც გულისხმობს ვიზიტორთა

შესვლას ტერიტორიაზე მათთვის სასურველ ნებისმიერ დროს სამუშაო საათების განმავლობაში ცოცხალი რიგის გვერდის ავლით, პერსონალური, ინდივიდუალური გამყოლის თანხლებით;

- პრომეთეს მღვიმეს დაემატა ახალი ტურისტული სერვისი – „ნავით გადაადგილება მღვიმეში“,”სამოქალაქო ქორწინების გაფორმების ცერემონიალი” და ”საკონფერენციო დარბაზის გაქირავება”;

- სათაფლიას აღკვეთილს დაემატა სერვისი - ”მონეტის მოჭრა” (დინოზავრის ნაკვალევის ფორმის) სპეციალურ მონეტის მოსაჭრელ აპარატზე;

<u>ვიზიტორთა სტატისტიკა დაცულ ტერიტორიებზე</u>

- 2012 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 298952 ვიზიტორი დაფიქსირდა, რაც წინა წლის (303686) მონაცემებთან შედარებით 1.5%-ით არის შემცირებული, რაც გაანპრობებულია ხანგრძლივი ზამთრისა და სეზონის გვიან გახსნით, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიზიტორთა რაოდენობის შემცირების მიუხედავად გაიზარდა შემოსავლების რაოდენობა.



დიაგრამა1. ვიზიტორთა რაოდენობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, 2012 წ.



დიაგრამა 2. შემოსავლების რაოდენობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, 2012 წ.



დიაგრამა 3. ქართველი და უცხოელი ვიზიტრების რაოდენობა, 2012წ.



დიაგრამა 4. უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა პირველი ხუთეული, 2012წ.



დიაგრამა 5. ვიზიტორთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების მიხედვით, 2012წ.



დიაგრამა 6. შემოსავლების რაოდენობა დაცული ტერიტორიების მიხედვით 2012წ.

<u>ვიზიტორთა გამოკითხვა/ანალიზი</u>

- 2012 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა ვიზიტორთა გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით. მარტიდან ოქტომბრის ჩათვლით სულ გამოკითხულ იქნა 2340 ვიზიტორი, რომელთა შორის 44% საქართველოს მოალაქეა, ხოლო 56% კი - უცხო ქვეყნის.



დიაგრამა1. გამოკითხულთა წარმოშობა

გამოკითხულ ვიზიტორთა უმრავლესობის - 72%-ის მოტივაცია არსებული ბიომრავალფეროვნების მონახულებაა, 27%-ის კი - კულტურული მემკვიდრეობა. მათი უმრავლესობა - 65% საფეხმავლო ტურებს ანიჭებს უპირატესობას, სამანქანე და

კომბინირებული ტურების მოყვარულთა პროცენტული მაჩვენებელი კი თანაბრად გადანაწილდა 17-17%.





დიაგრამა 4. მოტივაცია **დიაგრამა 5. სასურველი ტური**

35-35% უპირატესობას ანიჭებს ღამისთევას კარავსა და ვიზიტორთა ცენტრში, ხოლო 30% კი ტურისტულ თვშესაფრებში. რაც შეეხება ტურისტული მომსახურების ხარისხს - 58% აღნიშნავს რომ მომსახურების ხარისხი მაღალია.

დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის წყაროდ გამოკითხულთა უმრავლესობამ (64%) დაასახელა ინტერნეტი, 17-17% - რადიო-ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები.





დიაგრამა 6. მომსახურების ხარისხი **დიაგრამა 7. დტ შესახებ შეიტყვეთ**

გამოკითხულ ვიზიტორთა უმრავლესობა 77% მიიჩნევს, რომ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე არსებული მომსახურების ტარიფები არის მისაღებია. ტურისტული ინფრასტრუქტურა უმრავლესობის (91%) აზრით კარგია.





დიაგრამა 8. მომსახურების ტარიფები

დიაგრამა 9. ინფრასტრუქტურა

სამეცნიერო კვლევა/მონიტორინგი დაცულ ტერიტორიებზე

- შეიქმნა 2000-2012 წწ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების ერთიანი მონაცემთა ბაზა. განისაზღვრა სამეცნიერო კველევების მიმართულებები, მომზადდა სტატისტიკური მონაცემები.



დიაგრამა. დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების სტატისტიკა 2000 -2012 წწ.



დიაგრამა. დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების მიმართულებები 2006-2012 წწ.

- მომზადდა დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციიდან გლობალურად მნიშვნელოვანი ფრინველების შესახებ ინფორმაცია;
- მომზადდა ინფორმაცია დაცულ ტერიტორიაზე გავრცელებული თევზების შესახებ;
- მომზადდა ინფორმაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირებული სტიქიური და არასისტემური მოვლენების შესახებ;

- მომზადებულია იმერეთის მღვიმეების სპელეოთერაპიული დანიშნულების შესახებ ინფორმაცია, მოძიებულია ამ მიმართულებით განხორციელებული სამეცნიერო კვლევების მასალები და შედგენილია სია;
- ყოველწლიური მონაცემების საფუძველზე მომზადდა საქართველოს "წითელი ნუსხის" ცხოველებისა და ფრინველების (კეთილშობილი ირემი, აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, ნიამორი, არჩვი, კავკასიური როჭო და კავკასიური შურთხის) მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით რიცხოვნობის დინამიკა, სადაც გამოისახა რიცხოვნობის ზრდისა და კლების ტენდენციები.
- დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებიდან შემოსული 2011 წლის სტატისტიკური ფორმებით წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მომზადდა ინფორმაცია დაცული ტერიტორიების ფართობების ცვლილებების შესახებ, სია დაცული ტერიტორიების სტატუსების მიხედვით; ასევე ერთიანი მონაცემები ცხოველებისა და ფრინველების რიცხოვნობის შესახებ ძირითადი სახეობების მიხედვით.



დიაგრამა. ფრინველთა რიცხოვნობის დინამიკა დაცულ ტერიტორიებზე, 2011 წ.



დიაგრამა. ცხოველთა რიცხოვნობის დინამიკა დაცულ ტერიტორიებზე, 2011 წ.

- ტერიტორიული ადმინისტრაციებიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მომზადდა ერთიანი შემაჯამებელი მასალა პათოლოგიური გამოკვლევების შესახებ, მომზადდა მავნებლების სია და გამოიკვეთა დაზიანების კერები.
- მომზადდა 2012 წლის განმავლობაში ნიამორისა (6 წლის) და ჯეირნის (4 წლის) რეონტროდუქციის მიმართულებით განხორციელებული ქმედებების ანგარიში. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ვოლიერში არსებული ნიამორები მუდმივი ვეტერინარული მონიტორინგის ქვეშ იმყოფებიან, უზრუნველყოფილები არიან საკვებით, სასმელი წყლით, დამატებითი საკვებით და მედიკამენტებით.

- 2012 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ვოლიერში არსებული ჯეირნების მოვლა-პატრონობა და მონიტორინგი. 17-18 დეკემბერს მკვეთრი კლიმატური ცვლილებების გამო (ძლიერი ყინვა, ქარი, თოვლი, ტემპერატურის ვარდნა -12 დან -14 გრადუსამდე) ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირდა ჯეირნების სიკვდილიანობა. გარდაცვალების შემდგომ ადმინისტრაციის და ვეტერინერების მიერ მოხდა მათი გარდაცვალების მიზეზის დადგენა გაკვეთის გზით, საიდანაც ნათელი გახდა, რომ მათი სიკვდილის გამომწვევი მიზეზი იყო „ბრონქოპნევმონია“. გადარჩა მხოლოდ 1 მდედრი ინდივიდი.

- ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე რეინჯერების მიერ წარმოდგენილი ყოველკვირეული ინფორმაციის საფუძველზე ხდებოდა აღნიშნული ინფორმაციის შეჯამება და დამუშავება. ივნისის თვეში მოხდა მცირე მყივანი არწივის ბუდის დაფიქსირება, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მისი მონიტორინგი.

- ბორჯომ-ხარაგაულისა და თუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე ჩატარდა საძოვრების მდგომარეობის შეფასება და შეგროვილ იქნა მონიტორინგისა მონაცემები(პირუტყვის რაოდენობა, სეზონური ცვლილებები, ნადირის მიერ მიყენებული ზიანი და სხვა), ასევე ინფორმაცია საძოვრებზე ეროზირებული ფართობების შესახებ.



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საძოვრებზე შინაური პირუტყვის დინამიკა:

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის კვლევის დროს ასევე გამოვლინდა ის სახეობები, რომლების ჰაბიტატს და გადარჩენის სტაციას წარმოადენს აღნიშნული საძოვრები (ირემი, არჩვი, გარეული ღორი, დათვი, მგელი) ამ ტერიტორიისკენ ხდება ცხოველთა სეზონური და დღეღამური მიგრაციები.





- ბორჯომ-ხარაგაულის და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ირმის მყვირალობის პერიოდში დადგენილი მეთოდით ჩატარდა ირმების აღრიცხვა და საბინადრო ადგილების გამოკვლევა და მთლიანი არეალის დადგენა თითოეული დაცული ტერიტორიის კატეგორიის მიხევით. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის თანამშრომლებს აღრიცხვებამდე ჩაუტარდათ ტრენინგი.
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სულ აღრიცხულ იქნა 312 ირემი, მათგან 212 ნაკრძალში, ხოლო 100 ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.



- ლაგოდეხის ნაკრძალსა და აღკვეთილში აღრიცხულია მინიმუმ 258 ირემი. სახეობის სიმჭიდროვე 1 კმ^2 შეადგენს დაახლოებით1,6 ინდივიდს, ხოლო სქესთა შეფარდება 1 მამრი/ 3,2 მდედრზე.



- თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე საქართველოს "წითელი ნუსხის" მერქნიანების შესახებ მონაცემების შეგროვების პროცესში შესრულების მდგომარეობა: გროვდება ინფორმაცია რადეს არყის გავრცელების შესახებ, რომლის დამთავრების შემდეგ მომზადდება რუკა სახელწოდებით „რადეს არყის გავრცელების არეალი თუშეთის დ/ტ-ზე".



- მომზადებულია 2011 წლის სამეცნიერო კვლევების მონაცემთა ბაზა, გაკეთებულია ანალიზი;



დიაგრამა. 2011 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები დაცული ტერიტორიის მიხედვით

www.apa.gov.ge



დიაგრამა. 2011 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები მიმართულების მიხედვით



დიაგრამა. 2011 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები

- მომზადდა 2012 სამეცნიერო კვლევების მონაცემთა ბაზა, გაკეთებულია ანალიზი;



დიაგრამა. 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები მიმართულები



დიაგრამა. 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევები დაცული ტერიტორიების მიხედვით

<u>**სამეცნიერო პროექტები/საერთაშორისო ურთიერთობები**</u>

- სააგენტოში 2012 წლის ივნისში ჩატარდა ტრენინგი დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებისათვის, სადაც განხილულ იქნა ბუნებრივი რესურსების აღრიცხვის თანამედროვე მეთოდები და იშვიათი ტყის ეკოსისტემების და მცენარეთა შერჩევის კრიტერიუმები;

- 2012 წლის მაისის ბოლოს განხორციელდა მივლინება პოლონეთში, სადაც სააგენტოს წარმომადგენელი დაესწრო პოლონეთში ქ. ვარშავაში სატყეო კვლევითი ინსტიტუტის და ტყეების კოორდინირების პროგრამის ცენტრი (IUCN) დაგეგმილ 28-ე სამეცნიერო შეხვედრას - "ტყის მონიტორინგის შედეგები", ასევე გაეცნო ბიალოვიეჟას ეროვნულ პარკში მიმდინარე მონიტორინგის საქმიანობას;

- სააგენტოს წარმომადგენელი დაესწრო USAID-ის მიერ მოწყობილი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით შეხვედრას;

- მომზადდა ევროკავშირის კითხვარისათვის მასალა;

- 2012 წლის ნოემბრის ბოლოს განხორციელდა მივლინება უკრაინაში, სადაც სააგენტოს წარმომადგენელი დაესწრო საკითხის განხილვას - „შავი ზღვის დაბინძურების შემცირების მიზნით ხელოვნური რიფების ჩადგმა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ტერიტორიებზე";

- სააგენტომ მონაწილეობა მიიღო იქნა RECC-ისა და GIZ-ის მიერ ორგანიზებულ ქვეყნის ბიომრავაფეროვნების კონსერვაციის სტატეგიული გეგმის შემუშავებასა და განხილვაში;

- მომზადდა ცხრილი ინფორმაციით რამსარის კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი დაცული ტერიტორიების ფართობების ცვლილებების შესახებ;

<u>ფოტოხაფანგების საშუალებით დაფიქსირებული ფაქტები დაცულ ტერიტორიებზე</u>

- 2012 წელს ცხოველთა აღრიცხვიანობის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება ფოტოხაფანგები - დაცულ ტერიტორიებზე ფოტოხაფანგებით გადაღებული მასალა იგზავნება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში, რომელიც მუშავდება თითოეული დაცული ტერიტორიის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ინტენსიურად სააგენტოში მოეწოდება ფოტო და ვიდეო მასალა ბორჯომ-ხარაგაულის, ლაგოდეხისა და თუშეთის დაცული ტერიტორიებიდან.
- ირმების დიდი პოპულაციების არსებობა აღინიშნება ლაგოდეხის, ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების და გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე. ჯიხვების სიმრავლეზე კი მიუთითებს ლაგოდეხის, თუშეთისა დაცულ ტერიტორიებზე და ყაზბეგის ეროვნული პარკში მოპოვებული ფოტო- და ვიდეო-მასალა.

- ალგეთის ეროვნული პარკში მოპოვებული იქნა მგლის, გარეული ღორის, მყივანი არწივის სურათები და ვიდეოები, აქ გადაღებულია გარეული ღორების კოლტები, რაც პარკში მის სიმრავლეზე მიანიშნებს;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დაფიქსირებულ და მოპოვებულ იქნა ირმის, შვლის, მურა დათვის, ფოცხვერის, ტყის კატის, გარეული ღორის და მაჩვის სურათები და ვიდეოები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს არსებული ბიომრავალფეროვნების სიმდიდრეს;

- ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე - გარეული ღორების კოლტებისა და ფოცხვერის სურათები და ვიდეოები, გარდა ამისა ილტოს აღკვეთილში დაფიქსირდა ირემი, არსებობს მისი ამსახველი ფოტომასალა;
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები გამოირჩევა ფოტო- და ვიდეომასალების სიმრავლით, კერძოდ მრავლადაა გადაღებული ჯიხვის, არჩვის, ირმის, გარეული ღორის, ტყის კატის, მგლის, მელის, მაჩვის და

მაჩვზღარბას სურათები. დიდი რაოდენობითაა გადაღებული ჯიხვის ჯოგების და ირმის სურათები, რაც მიუთითებს ჯიხვისა და ირმის ძლიერი პოპულაციების გავრცელებაზე, ხოლო **მაჩვზღარბას გამოჩენა წარმოადგენს უნიკალურ შემთხვევას, რადგანაც ლაგოდეხის არ შეესაბამება მისთვის ჩვეულ გარემოს.** აღნიშნული აიხსნება კლიმატური ცვლილებებით, რამაც შესაძლოა განაპირობა ჰაბიტატების ცვლილება და ამ ადგილისათვის არადამახასიათებელი ცხოველის გამოჩენა.

- თუშეთის დაცული ტერიტორიებზე მოპოვებული იქნა ჯიხვების, ნიამორებისა და შურთხების სურათები და ვიდეოები.

- ყაზბეგის ეროვნული პარკიდან მოწოდებულია ძირითადად ჯიხვების საკმაოდ მოზრდილი ჯოგების სურათები.
- მტირალას ეროვნული პარკიდან მოწოდებული თითქმის ყველა მასალა მურა დათვის მაღალ რიცხოვნობაზე მიუთითებს.

- კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე მოპოვებულია მურა დათვისა და შვლის სურათები, რაც მიუთითებს მათ მაღალ რიცხოვნობაზე;
- გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიაზე დაფიქსირებული იქნა ირმების საკმაოდ მოზრდილი ჯოგი.
- სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ იქნა მაჩვის, მელა და ციყვი.

<u>**გზშ დოკუმენტების განხილვა**</u>

- განხილულია 74 გზშ-ს დოკუმენტი და წინასწარ განსახილველი დოკუმენტი;
- სააგენტოს წარმომადგენელი დაესწრო 16 გზშ-სგან გათავისუფლების საბჭოს;

დაცვა/პატრულირება დაცულ ტერიტორიებზე

- 2012 წლის მონაცემებით დაცული ტერიტორიების სისტემაში პატრულირებას ახორციელებდა 241 რეინჯერი და 40 უფროსი რეინჯერი სულ 281 დაცვის თანამშრომელი.

- დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავას დაქვემდებარებულია 364030 ჰა ტერიტორია. ტერიტორიის დაცვის მიზნით დაცვის განყოფილების თითოეულ თანამშრომელზე, დასაცავად მოდის საშუალოდ 1296 ჰა ტერიტორია. ტერიტორიების დაცვა ხორციელდება (ფეხით, ცხენით, ავტო, მოტო და წყალმცურავი სატრანსპორტო საშუალებებით).

- 2012 წელს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიერ ჩატარდა 29144 პატრულირება, მათ შორის 1718 საკონტროლო. პატრულირების დროს გავლილმა მანძილმა შეადგინა: ფეხით - 356951 კმ, ცხენით - 150945კმ, ავტომანქანით - 387259კმ, ნავით და კატერით - 3680კმ, სულ - 898835 კმ.

<u>პატრულირების სისტემის დანერგვა</u>

- 2012 წელს დაცულ ტერიტორიებზე მოხდა პატრულირების ახალი სისტემის დანერგვა.
- 2012 წელს თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე UNDP-ის პროექტის ფარგლებში საერთაშორისო ეხპერტის მიერ მოხდა არსებული სიტუაციის შესწავლა/ანალიზი, შემუშავდა კანონაღსრულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. დაინერგა პატრულირების სისტემა ფეხით, ცხენით და მანქანით; შემუშავდა ახალი საპატრულო მარშრუტები;
- 2012 წელს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდა დაცვის განყოფილების ახალ სისტემაზე გადასვლა, რომელიც ეფუძნება ველზე 24 საათიანი პატრულირებას ავტომანქანით, წინასწარ განსაზღვრულ საპატრულო მარშრუტებზე.

<u>ფოტოხაფანგების გამოყენება სამართალდამრღვევების მიმართ</u>

- 2012 წლის განმავლობაში აქტიურად ხორციელდებოდა დაცულ ტერიტორიებზე ფოტოხაფანგების მეშვეობით სამართალდამრღვევების გამოვლენა.
- 2012 წელს დამატებით შეძელილი იქნა GSM სისტემის ფოტოხაფანგი ლაგოდეხის, ბორჯომ-ხარაგაულის და თუშეთის დაცული ტერიტორიებისათვის, რომელიც ონლაინ რეჟიმში ახდენს ფოტომასალის გადაგზავნას დაფიქსირებულ სამართალდამრღვევებზე, რომლის საფუძველზედაც ხდება მყისიერი რეაგირება საპატრულო ჯგუფის მიერ და დროული აღკვეთა სამართალდარღვევის.



<u>**დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი უკანონო ქმედებები**</u>

- 2012 წელს პატრულირების დროს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია 330 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 321 და ხოლო 9 სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტი.



დიაგრამა 1. 2012 წელს გამოვლენილი სამართალდარღვევები



დიაგრამა 2. 2012 წელს გამოვლენილი სამართალდარღვის სახეების მიხედვით

გამოვლენილი სამართალდარღვევის სახეების მიხედვით შემდეგია: 4 უკანონო თევზაობა, 120 - უკანონო ჭრა, 2 - უკანონო ნადირობა, 51 - უკანონო ძოვება, 13 - თევზაობის წესების დარღვევა, 73 - ნადიროების წესების დარღვევა, 67 - სხვადასხვა სამართალდაღვევა.

- სამართალდარღვევებზე დაკისრებული ზიანისა და ჯარიმის თანხამ შეადგინა 105116 ლარი.



დიაგრამა 3. 2012 წელს ტერიტორიული ადმინისტრაციების მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები

<u>ხანძრები</u>

- დაცულ ტერიტორიებზე 2012 წელს დაფიქსირდა ხანძრის 10 შემთხვევა ალგეთის, ვაშლოვანის (3-ჯერ), ბაბანეურის, თუშეთის, ჭაჭუნის, ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე (3-ჯერ);

- ხანძრის კერები რეინჯერების ოპერატიული ქმედებების შედეგად ისე იქნა ჩამქრალი, რომ გარემოზე მიყენებული ზიანი არ დაფიქსირებულა 8 შემთხვევაში; მხოლოდ 2

შემთხვევაში (2012 წლის 30 ივლისიდან 1 აგვისტომდე) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შავი მთის (ჩაიბულახისა და ბაწილოს ხევები) უბანზე გაჩენილ ხანძრისდროს დაიწვა დაახლოებით 1000 ჰექტარი ფართობი. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე აღნიშნული ხანძრების შედეგად დაიწვა მერქნიანი მცენარეები, გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 38023,45 ლარი. ჭაჭუნის აღკვეთილში ხანძრის შედეგად დაიწვა 11,5 ჰა მინდორი და მდინარე იორის ნაპირების ლერწმიან-ჩალიანი მონაკვეთი. ამ მონაკვეთში ხანძარმა დააზიანა ერთეული ხეები, გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 508 ლარი.



<u>ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა</u>

- დაცული ტერიტორიების გარშემო მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური ჭრის შესაბამისად გამოიყო 42476 კბ.მ მერქანი მათ შორის: II ხარისხის საშეშე კატეგორიის - 41676 კბ.მ. და I ხარისხი - 802 კბ.მ. დაცული ტერიტორიებიდან საშეშე მერქანი უპირატესად გაცემულია სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე. გამოყოფილი I-II ხარისხის მერქნიდან გაცემულია 38568 კ.ბ.მ.-ის ოდენობის II ხარისხის

საშეშე მერქანი და 501 კ.ბ.მ-ის ოდენობის I ხარისხის სამასალე მერქანი. სულ ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 39069 კ.ბ.მ. ხე-ტყე.



დიაგრამა 3. დაცულ ტერიტორიებზე გამოყოფილი ტყეკაფები და სოციალური სარგებლობისათვის ათვისებული მერქანი 2012-2011 წწ.

- დაცული ტერიტორიების სისტემის ფარგლებში გამოყოფილი და ათვისებული მერქნული რესურსიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შესულია 127838 ლარის ოდენობის თანხა.
- დაცული ტერიტორიებიდან გამოყოფილი მერქნული რესურსით ისარგებლა საშუალოდ 7714 ოჯახმა.

პროექტები და საერთაშორისო ურთიერთობა

- 2012 წელს დასრულდა სათაფლიას ნაკრძალის ინფრასტრუქტურის განვითარება (BP/BTC&Co);
- მომზადდა მასალები ინტერაქტიული რუკისთვის, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე;
- განხილული და მომზადებული იქნა სოციალური პროექტები ჯავახეთის დაცული ტერიტორიების (დაიგეგმა საოჯახო სასტუმროებისა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარების მიზნით, ახალი აქტივობების განხორციელება. ასევე დაიგეგმა მეფუტკრეობის განვითარების მიზნით, მეფუტკრეთა ასოციაციის ჩამოყალიბება, მოსახლეობისათვის თანამედროვე აღჭურვილობის გადაცემა და დატრეინინგება) და თუშეთის ეროვნული პარკის (დაიგეგმა ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ადგილობრივ მოსახლეობისათვის დამატებით მზის ფოტო-ელექტრული სისტემების გადაცემა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით ახალი პროექტის დაწყება) დამხმარე ზონები მოსახლეობისთვის;
- მომზადდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების, თუშეთის დაცული ტერიტორიების, სათაფლიას აღკვეთილისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საინტერპრეტაციო დაფები, მათ შორის საგამოფენო დარბაზისთვის.
- "ეკორეგიონის კონსერვაციის პროგრამა სამხრეთ კავკასია-საქართველო"/(ფაზა III) (KfW); (ყაზბეგის და ალგეთის ეროვნული პარკის გაფართოება/განვითარება, კინტრიშის დაცული ტერიტორიების განვითარება და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების დაარსება/განვითარება). ყაზბეგის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურებისა და სასტუმროს მშენებლობის დაცულ ტერიტორებთან მიმართებაში ნეგატიური გავლენის შეფასების მიზნით, TJS - ის მიერ დაქირავებული ექსპერტების მიერ ჩატარდა სპეციალური კვლევა. კვლევის შედეგები წარედგინა KfW-ს სათაო ოფისს;
- კავკასიის ბუნების ფონდმა (CNF) განახორციელა 4 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის (ბორჯომ-ხარაგაული, ლაგოდეხი, ვაშლოვანი, თუშეთი) ხარჯების თანადაფინანსება;
- საქართველოს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით (EU-Twinning) შეირჩა პარტნიორი ქვეყანა (ავსტრია-ჩეხეთის კონსორციუმი). მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულების ხელმოსაწერად.
- ჯავახეთის დაცული ტერიტორიების განვითარებისთვის (KfW) ცვლილებები შევიდა და განახლდა განსაკუთრებული შეთანხმება და 2014 წლის მარტამდე გახანგძლივდა

საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულება. შემუშავდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტი;

- დასრულდა (UNDP/GEF) პროექტი - „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა“. შემუშავდა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები (მათ შორის: 10 წლიანი საინვესტიციო გეგმა, საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების პაკეტი, დაცული ტერიტორიების ბიზნეს გეგმები, თუშეთის ეკოსისტემის სერვისების შეფასება, შემოსავლების მიღების დივერსიფიცირება და სხვა), შემუშავდა სასწავლო მოდულები და ჩატარდა ტრეინინგები ტურიზმის მარკეტინგში, ბიზნეს დაგეგმვასა და ეკონომიკურ შეფასებაში;
- 2012 წელს დაარსდა მაჭახელას ეროვნული პარკი. შედგა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის საკოორდინაციო ჯგუფის პირველი შეხვედრა. ქართული მხარის მიერ შემუშავდა სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც შესათანხმებლად გადაეგზავნა თურქულ მხარეს;
- ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ჩეხეთის ბუნების კონსერვაციის სააგენტო ახორციელებს ახალ პროექტს „თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვის გეგმა.“ პროექტის ფარგლებში შედგა ჩეხი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში და განხორციელდა სასწავლო ტური ჩეხეთის რესპუბლიკაში;
- თუშეთის უზრუნველყოფა განახლებადი ენერგიით (CzDA/Glomex) II ფაზა, პროექტის ფარგლებში 67 ადგილობრივ მოსახლეს დაუმონტაჟდა მზის წყლისგამაცხებელი სისტემა, 45 ადგილობრივ მოსახლეს გადაეცა მზის ფოტო-ელექტრული სისტემა;
- მშვიდობის კორპუსის მოხალისეების პროგრამის ფარგლებში მტირალას და იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე მოწვეული იქნენ ინგლისური ენის 2 სპეციალისტი, ეკოტურიზმის განვითარების 1 სპეციალისტი და მღვიმეების მართვის 1 სპეციალისტი. აღნიშნული პროექტის შედეგად ინგლისური ენის ცოდნა გაიღრმავეს მტირალას და იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიების თანამშრომლებმა. ეკოტურიზმის განვითარების პრაქტიკა გაიზიარეს მტირალას ეროვნული პარკის თანამშრომლებმა ხოლო მღვიმეების მართვის პრაქტიკა გაიზიარეს იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა.
- პროექტის "აჭარის რეგიონის მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა მდგრადი მოხმარებისა და ბუნების კონსერვაციაში (მაჭახელას დაცული ტერიტორიის დაარსება)” დაწყების მიზნით ჩატარა წინასწარი კვლევა და მომზადდა საპროექტო განაცხადი;
- შემუშავდა ქურციკების რეინტროდუქციის ეროვნული გეგმის საბოლოო ვერსია. რეინტროდუქციის ქმედებები ვაშლოვანთან მიმართებაში შეტანილი იქნება მენეჯმენტის გეგმაში;

- PAN Parks-ისა და TOYOTA EUROPE-ის დაფინანსებით განხორციელდა რომანოვების ბილიკის აღდგენა (13 საფეხმავლო ხიდი) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში;
- ვაშლოვანის ეროვნულ პარკში აშენდა მრავალფუნქციური სარეინჯერო სადგური (EU/FFI/Nacres/GIZ). სადგურის აღჭურვა იგეგმება WWF-ის დაფინანსებით.
- ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ჩეხეთის მღვიმეთა ასოციაციამ იმერეთის მღვიმეების მართვის გაუმჯობესების მიზნით, დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება. შედგა ჩეხი სპელეოლოგების ვიზიტი საქართველოში. სააგენტოსთან ერთად შემუშავდა სამუშაო გეგმა.
- ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე საძოვრების მდგრადი მართვის ხელშეწყობის პროექტის (ClimaEast, EU/UNDP) განხორციელების მიზნით განხორციელდა საპროექტო განაცხადის განხილვა.
- ბიომრავალფეროვნებაზე ორიენტირებული ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნისა და განვითარების (UNWTO) მიზნით შერჩეული იქნა 3 დაცული ტერიტორია (ლაგოდეხი, ვაშლოვანი, მტირალა) და 4 ტურისტული პროდუქტი (ZIP LINE (თოკზე დაკიდება), GEO TRAIL - გეოლოგიური ტური. CANYONING კანიონინგი (დინების მიმართულებით დაშვება) და ECO-MUSEO (ეკო მუზეუმი) .

- სააგენტოს კოორდინაციით მომზადდა ხელშეკრულებების ქართული და ინგლისური ვერსიები და 2012 წლის 15 მაისს ხელი მოეწერა შეთანხმებას შემოწირულობაზე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისთვის სააგენტოს, კავკასიის ბუნების ფონდს, საქართველოს ბანკსა და ბანკის ფონდს შორის;
- სააგენტოს კოორდინაციით მომზადდა ხელშეკრულებების ქართული და ინგლისური ვერსიები და 2012 წლის 11 ივნისს ხელი მოეწერა ცვლილებებს ბორჯომ-ხარაგაულის და ლაგოდეხის საგრანტო შეთანხმებაზე კავკასიის ბუნების ფონდთან;
- 2012 წლის 25 მაისს ჩეხეთის საელჩოს (დონორი) ორგანიზებით და სააგენტოს კოორდინაციით ჩატარდა თუშეთის ვებ-გვერდის პრეზენტაცია ჩეხეთის საელჩოში;
- 2012 წლის ივნისში ხელი მოეწერა მემორანდუმს GIZ-ს, USDoI ITAP-სა და სააგენტოს შორის სააგენტოს თანამშრომლებისთვის ტრენინგების განხორციელებაზე;
- მომზადდა სააგენტოს ანგარიში ათასწლეულის განვითარების მიზნების ინდიკატორების შესაბამისად 2005-2012 (ივნისი) მდგომარეობით;
- დასრულდა "კარიანისა და უნდოს კლდეებისათვის, ასევე ბონდისა და სათევზიას მღვიმეებისათვის დაცული ტერიტორიების სტატუსის მინიჭების" შემსწავლელი კომისიის მუშაობა. მომზადდა და 2012 წლის ივნისში წარდგენილია კომისიის დასკვნა;

- შეირჩა სატენდერო აგენტი, მომზადდა ტექნიკური დავალება საკონსულტაციო მომსახურებაზე, შეფასდა ათი განაცხადი და შეირჩა ხუთი დაინტერესებული კომპანია განსაკუთრებული შეთანხმების ფარგლებში, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW, 4 მლნ €), "ღია პროგრამა, სამხრეთ კავკასია - საქართველოს დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა";
- შემუშავდა სააგენტოს 5 წლიანი ანგარიში. შედგა პრეზენტაცია დაინტერესებულ მხარეთა წინაშე;
- კავკასიის ბუნების ფონდის ინიციატივით შედგა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა, რომელზეც სააგენტომ წარადგინა 2012 წლის ანგარიში, მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები.
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მშვიდობის კორპუსთან, დაიგეგმა მოხალისეთა ჩართვა სააგენტოს სხვადასხვა აქტივობებში და სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება მათი სხვადასხვა სასწავლო ტურებში ჩართვის გზით.

GIS – მონაცემთა ბაზა

- მომზადდა ლაგოდეხის, თუშეთის, ბორჯომ–ხარაგაულის, პრომეთეს მღვიმის დაცული ტერიტორიების საინტერპრეტაციო დაფების დიზაინი და შესაბამისი რუკები. განახლდა სათაფლიასა და ვაშოვანის დაცული ტერიტორიების საინტერპრეტაციო დაფები. მომზადდა პრომეთეს მღვიმისა და სანაოსნო მარშრუტის სქემა; მომზადდა დროებით გამაფრთხილებელი ნიშნებისა და მღვიმიდან გასასვლელის მანიშნებლების დიზაინი (5 მაფრთხილებელი ნიშანი და 66 მანიშნებელი) ასევე მომზადდა მანიშნებლების განსათავსებელი კონსტრუქციის სქემები. მომზადდა სანაოსნო მარშრუტისა და მღვიმის საფეხმავლო მარშრუტის სქემები ლაითბოქსისთვის ასევე ლაითმოქსისი სქემა;
- განახლდა საინფორმაციო მასალების დიზაინი - განახლდა ტურისტული ბუკლეტები (ტურისტული რუკები), ტურისტული ტარიფების ჟურნალი;
- განახლლდა დადაცული ტერიტორიების სხვადასხვა თემატური რუკები დამომზადდა ახალი რუკები;
- განისაზღვრა საქართველოს დაცული ტერიტორიების საძოვრების რუკები და მომზადდა საკადასტრო აზომვითი ნახაზები (თუშეთის, ვაშლოვანის, ბორჯომ ხარაგაულის, ჭაჭუნას, ყორულის);
- მომზადდა რუკები გარდაბნის აღკვეთილის საზღვრის გამმიჯნავი კომისიის მუშაობის ფარგლებში;
- მომზადდა გარდაბნის აღკვეთილის სამონადირეო მეურნეობად გაცემასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის თემატური რუკები და სამონადირეო მეურნეობად

გასაცემი ტერიტორიის საზღვრის კოორდინატები, მომზადდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში;

- მომზადდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების პატრულირების და ახალი ზონირების რუკები; თუშეთის დაცული ტერიტორიების განახლებული ზონირების რუკა; აჯამეთის აღკვეთილის, თბილისისი ეროვნული პარკის, კოლხეთის ეროვნული პარკის ახალი ზონირების რუკა და შესაბამისი კოორდინატები დროებითი რეგულირების წესისათვის;
- მომზადდა თბილისის ეროვნული პარკის ტურისტული ბილიკების რუკა;
- განახლდა დაცული ტერიტორიების ბრაკონიერობისა და ხანძარსაშიში ტერიტორიების რუკები;
- მომზადდა რუკები ყაზბეგის დაცული ტერიტორიებისა და კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებით;
- მოხდა ზოგიერთი დაცული ტერიტორიის ტყეთმოწყობის რუკების გეორეფერენსირება;
- მომზადდა რუკები თუშეთისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ვერტიკალური დაფებისათვის.
- მომზადდა ასევე სხვადასხვა სახის რუკები სააგენტოში შემოსულ კორესპონდენციებთან დაკავშირებით, პრეზენტაციებისათვის და სხვა საჭიროებებისათვის;
- GIS-ის მონაცემთა ბაზების (დაცული ტერიტორიების საზღვრებისა და ფართობის, დაცული ტერიტორიის კატეგორიების, არსებული ინფრასტურუქტურისა და ტურისტული ბილიკების, ზონების, დაცულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესახებ, ასევე საჭიროებისამებრ სხვა ინფორმაცია) წარმოება და განახლება;
- განახლდა საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკის და ფართობების ცხრილების მონაცემთა ბაზა;
- განახლდა თუშეთისა და ლაგოდეხის ტურისტული ინფრასტრუქტურის შესახებ მონაცემები;
- დასრულებულია თბილისის ეროვნული პარკის საზღვრების გამიჯვნითი სამუშაოები ველზე დამუშავდა ველზე აღებული მონაცემები.
- თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საკონსულტაციო ფირმებთან და კონტრაქტორებთან GIS-ისა და მონაცემთა ბაზის წარმოების სფეროში;
- მიმდინარეობს თანამშრომლობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ინფორმაციის გაცვლის კუთხით;
- საქართველოს დაცული ტერიტორიების განახლებული საზღვრები მიეწოდება ბუნებრივი რესურსების სააგენტოს;

- არასამთავრობო ორგანიზაცია NACRES-ის მიერ მომზადდა თუშეთის ახალი ტურისტული ბუკლეტისათვის მონაცემთა ბაზა;
- მიმდინარეობს თანამშრომლობა GIS-სა და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრ "გეოგრაფიკთან" (ჯავახეთის დაცული ტერიტორიების რეგისტრაცია, GIS–ის მე–13 საერთაშორისო კონფერენცია);

ადმინისტრაციული საქმიანობა

- **1. ახალი შინაგანაწესის შემუშავება და დანერგვა**

➢ შემუშავდა შიდა აუდიტის სამსახურთან ერთად ახალი შინაგანაწესი, სადაც გათვალისწინებულ იქნა, როგორც სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა შენიშვნები და წინადადებები.

- **2. შესარჩევი კონკურსი**

➢ ჩატარდა შესარჩევი კონკურსი დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ადმინისტრაციებში სტაჟიორთა მიღების მიზნით, სადაც განაცხადი შემოიტანა 53-მა პრეტენდენტმა, გასაუბრება წარმატებით გაიარა 6 კანდიდატმა, რომლებიც დაინიშნენ როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე ტერიტორიულ ადმინისტრაციებში.

- **3. თანამშრომელთა ტრენინგი**

➢ იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში ტრენინგია გაიარეს სააგენტოს ცენტრალური აპარატის 20-მდე თანამშრომელმა შემდეგ საკითხებში:

- ლიდერობა;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- ბიზნესის ადმინისტრირება.

➢ გეგმის შესაბამისად სააგენტოს შიდა რესურსების გამოყენებით ტრენინგი ჩაუტარდათ ტერიტორიულ ადმინისტრაციების 300-მდე თანამშრომელს შემდეგ საკითხებში:

- სამართაკდარღვევის ოქმების შეგენა;
- ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის წესები;

- ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესები;
- შინაგანაწესის გაცნობა;
- უფლება-მოვალეობების განმარტება;
- ქცევის ზოგადი წესები;

➢ სააგენტოს საქმისწარმოებისა და კადრების ელექტრონულ პროგრამაში ჩართვის მიზნით, ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყო ცენტრალური აპაპარატის 30 - მდე თანამშრომლის დატრეინინგება. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები ტერიტორიული ადმინისტრაციების საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში ჩასართავად.

- **4. გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები**

➢ მომზადდა 104 ბრძანება - დანიშვნა-განთავისუფლების შესახებ;

➢ მომზადდა 210 ბრძანება - მივლინების შესახებ;

➢ მომზადდა 133 ბრძანება - საერთო საქმიანობის შესახებ;

➢ მომზადდა 71 ბრძანება - შვებულების, მათ შორის დეკრეტული შვებებულების შესახებ;

➢ მომზადდა 11 ბრძანება - დისციპლინური დასჯის შესახებ;

➢ მომზადდა 6 ბრძანება - მადლობის შესახებ.

- **5. ადმინისტრაციული საქმისწარმოება**

➢ შემოსული წერილების რაოდენობა - 4869;

➢ გასული წერილების რაოდენობა - 1602;

➢ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე შემოვიდა 6 განცხადება - ყველა დაკმაყოფილდა;

➢ ცნობა სამუშაო ადგილიდან - 59.

- **6. საქმისწარმოების არქივი**

- სააგენტოს მიერ სსიპ ეროვნული არქივიდან მოწვეულ იქნა სპეციალისტები, სააგენტოს არქივის დამუშავებისა და მოწესრიგების მიზნით, ასევე შემუშავდა სააგენტოს ნომენკლატურა.

- **7. სამსახურებრივი მოწმობების გაცემა**

- გაიცა სამსახურებრივი მოწმობები 400-მდე თანამშრომელზე

- **8. იარაღის მოწმობების გაცემა და გაუქმება**

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში გასაგზავნად მომზადდა 40-მდე წერილი იარაღის მოწმობის გაცემა/გაუქმებასთან დაკავშირებით.

იურიდიული საქმიანობა

- **2012 წელს მომზადდა კანონები:**

  - „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“;
  - “სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“;
  - “გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის შექმნისა და მართვის შესახებ”;
  - “ზემო სვანეთის მყინვარის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვიუს შესახებ”

- **2012 წელს მიღებული იქნა კანონქვემდებარე აქტები:**

  - “ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე”;
  - “ზოგიერთი დაცული ტერიტორიების დროებითი რეგულირების წესში ცვლილების შეტანის თაობაზე”
  - “თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე”
- **მთავრობის განკარგულებები:**
  - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე;
  - საგრანტო ხელშეკრულებები:
  - საგრანტო ხელშეკრულებას თუშეთის დაცული ტერიტორიების საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსებაზე;

- საგრანტო ხელშეკრულებას ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსებაზე;
- საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC) და სამხეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP) შორის გაფორმებული ხელშეკრულების ცვლილების პროექტი;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ნაკრესს შორის ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე პატრულირების ხარჯების დაფარვასთა დაკავშირებით

- **სასამართლო პროცესში მონაწილეობა:**

- სასამართლო პროცესები მიწის ნაქვეთის გადაფარვასთან დაკავშირებით:

  - მცხეთის რაიონულ სასამართლო
  - თბილისის სააპელაციო სასამართლო

მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა

2012 წელს მარკეტინგისა და საზოგადოებსთან ურთიერთობის კუთხით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გავრცელდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2013 წლის კალენდრები საერთაშორისო ორგანიზაციებში, კომპანიებში, საელჩოებში და სასწავლო დაწესებულებებში;
- ჩატარდა სოციალური კვლევა დაცული ტერიტორიების ცნობადობის გაზომვის მიზნით (პირადი რესურსით ანკეტური გამოკითხვა);
- შედგა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის შეხვედრები მიზნობრივ ჯგუფებთან;
- დაიბეჭდა საინფორმაციო მასალები - ტურისტული რუკები, ჟურნალები, საფოსტო ბარათები, ბროშურები და სხვადასხვა საინფორმაციო-სარეკლამო მასალები;
- გავრცელდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს საქმიანობის ანგარიში;
- გავრცელდა საინფორმაციო მასალები;
- 2012 წელს ორგანიზებულ იქნა ფოტო - გადაღებები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე;
- დაიბეჭდა ფოტოები და მოეწყო ფოტო გამოფენები 2012 წლის განმავლობაში თბილისსა და რეგიონებში;
- საერთაშორისო ტურისტული გამოფენებისათვის მომზადდა შესაბამისი მასალა (სტენდების დიზაინი, ინფორმაციის მომზადება, ბანერების ბეჭდვა);
- სპეციალურ კატალოგებში განთავსდა სარეკლამო ინფორმაცია;

- განთავსდა სარეკლამო რგოლები გარე მონიტორებზე ოუტდოორ (ბილბორდები, ლაითბოქსები);
- განთავსდა სარეკლამო რგოლი ტელევიზიებში;
- მომზადდა რადიო რეკლამა;
- განთავსდა რეკლამა კინოთეატრებში;
- კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციების პოპულარიზაციის, ასევე ეკოტურისტული პოტენციალის აქცენტირების მიზნით, 2012 წელს მოეწყო ყოველწლიური, ტრადიციული, თამაშებისა და სამზარეულოს ფესტივალი თუშეთის ეროვნულ პარკში - თუშეთობა 2012, მოეწყო თუშური ხალხური რეწვის გამოფენა;
- გავრცელდა სპეციალური ნივთები (სუვენირები);
- გაიხსნა პრომეთეს მღვიმისა და სათაფლიას ნაკრძალის ეკოტურისტული სეზონი;
- 2012 წელს ორგანიზებულ იქნა საინფორმაციო, საგანმანათლებლო, ფოტო, პრეს სათავგადასვლო ტურები;
- სააგენტოს ინიციატივით სკოლებში მოეწყო ღია გაკვეთილები დაცული ტერიტორიების შესახებ, მოხდა მოსწავლების ინფორმირება, კონკურსები თავისუფალ თემებზე. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით და სიგელებით;
- დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო აქციები (პრომო დასუფთავების, დარგვის, ქუჩის საკომუნიკაციო, სოციალური და ა.შ);
- ორგანიზებულ იქნა დაცულ ტერიტორიებზე ფილმების გადაღება;
- განახლდა online pr ვებ გვერდი (CD და DVDდისკების გავრცელება)
- 2012 წელს აქტიურად ინფორმაცია ვრცელდებოდა სოციალური ქსელებით facebook.com და youtube.com;
- 2012 წელს მუდმივად ხორციელდებოდა პრესსმონიტორინგი;
- 2012 წელს გავრცელდა პრესრელიზები;
- 2012 წელს დაიწერა საიმიჯო სტატიები;
- 2012 წელს გაშუქდა ღონისძიებები;
- მომზადდა სპეციალური სიუჯეტები;
- მომზადდა 2012 წლის სააგენტოს კალენდრის ახალი დიზაინი;

2012 წლის სამოქმედო გეგმაში გაუთვალისწინებლად შესრულდა შემდეგი აქტივობები:

- 2012 წელს სააგენტომ მონაწილეობა მიიღო რიო+20 ში, გაიმართა შეხვედრები;
- გავრცელდა მესიჯები ბილაინსა და ჯეოსელის აბონენტებისთვის სათაფლიასა და პრომეთეზე;
- 2012 წელს ორგანიზებულ იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს 5 წლის ანგარიშის პრეზენტაციი მოწყობა;
- 2012 წელს მოეწყო საქართველოს ეროვნული პარკების გამოფენა თბილისი მოლში;

შიდა აუდიტი

- 2012 წელს ხე-ტყის უკანონო ჭრებთან დაკავშირებით შემოწმდა, მაგრამ დარღვევა არ გამოვლენილა შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში:
  - გარდაბნის აღკვეთილის ადმინისტრაცია;
  - მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
  - ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- არაგეგმიური შემოწმების შედეგები:
  - შემოწმდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია - თანამშრომლებს სხვადასხვა დარღვევისათვის მიეცათ - 13 შენიშვნა და 2 სასტიკი საყვედური, აგრეთვე განხილული იქნა 2011 წლის წლის ინვენტარიზაციის მასალები;
  - შემოწმდა ადმინისტრაციულ სამსახურში 87 თანამშრომლის პირადი საქმე, დარღვევები არ აღმოჩენილა;
  - შემოწმდა აჯამეთის აღკვეთილის აჯამეთის N2 უბნის სარეინჯეროში არსებული 2010 წელს გამოყოფილი ტყეკაფის მასალები. გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ადმინისტრაციას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები;
  - შემოწმდა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ვიზიტორებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი. გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ადმინისტრაციას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები;
  - შემოწმდა თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების საკითხები. გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ადმინისტრაციას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები;
  - შემოწმდა სამსახურებრივი ტანსაცმლის (ფორმის) ჩაცმის წესის დარღვევის საკითხი, ადმინისტრაციებს მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები;
  - შემოწმდა მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია - ვიზიტორთა სტატისტიკური აღწერის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ადმინისტრაციას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები;
  - შემოწმდა მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია - რეინჯერის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ მარშუტებზე არ ყოფნის გამო 2 თანამშრომელს გამოეცხადათ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - ''შენიშვნა'';
  - შემოწმდა მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია - რეინჯერის სამოქმედო გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არ ყოფნის გამო 2 თანამშრომელს გამოეცხადათ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - ''შენიშვნა'';

- შემოწმდა თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია - გამოვლინდა დიდი ოდენობით ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებითაც დაცვის განყოფილების 3 თანამშრომელი გათავისუფლდა სამსახურიდან, ხოლო 1 თანამშრომელს გამოეცხადა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - "გაფრთხილება". აღნიშნული საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურას. აგრეთვე სამუშაო საათებში სამოქმედო ტერიტორიაზე ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის გამო, 1 თანამშრომელს გამოეცხადა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - "შენიშვნა".

- სააგენტოს განვითარების სამსახურს დაევალა ტერიტორიული ადმინისტრაციებში ხანძარსაშიშ პერიოდისათვის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისა და ვიზიტორების ცნობიერების ამაღლებისა და უსაფრთხოების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ეკონომიკური სამსახური

- 2012 წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერები:

- ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერები:

  - 16 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით
  - 49 ტენდერი არ შედგა
  - შეწყვეტილია 5 ტენდერი
  - შედგა 52 ტენდერი და გაფორმდა 6055720 ლარის ღირებულების 52 ხელშეკრულება.

- ბიუჯეტიდან განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა :
  - გაფორმდა 1310291 ლარის ღირებულების 68 ხელშეკრულება.
  - საკუთარი შემოსავლებიდან განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა:
  - გაფორმდა 226710 ლარის ღირებულების 125 ხელშეკრულება.
  - გრანტით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა:
  - გაფორმდა 83790 ლარის ღირებულების 57 ხელშეკრულება.
- სააგენტოში განხორციელდა ინვენტარიზაციის პროცედურები;
- აუქციონის გზით გასხვისებულია 8 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება,
- განხორციელდა გრანტების შეთანხმება/გახარჯვა,
- კონსოლორიდრებული ტენდერის გზით შესყიდულ იქნა:

  - 330540 ლარის ღირებულების საწვავი.